## სსრ კავშირის თასი ფეხბურთში

**„დინამო“ (თბილისი) – „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:2 (0:1)**

**თბილისი. ვ. ი, ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 21 მაისი.**

**„დინამო“: ხაპოვი, ჩიქოვანი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე, სვანაძე (ქეცბაია, 50 წ.), ცვეიბა, ცაავა, კაჭარავა (ყაველაშვილი, 56 წ, აფციაური 88 წ.), გოგიჩაიშვილი.**

**„დნეპრი“: კრაკოვსკი, იუდინი, ვიშნევსკი, სიდელნიკოვი, ტიშჩენკო, კუდრიცკი (ლიუტი, 77 წ.), ბაგმუტი, ჩერედნიკი, სოროკალეტი (იაროვენკო 67 წ.), სონი (ჩერვონი 88 წ.), შახოვი.**

**მსაჯი ი. მილიაუსკასი (ალიტუსი).**

**გააფრთხილეს: ჩერედნიკი, ჯიშკარიანი, ჭედია.**

ამ მატჩის საანგარიშო წერილი „ლელოს“ საფეხბურთო განყოფილებას მომზადებული ჰქონდა, როცა თბილისელმა მოქალაქემ პატივცემულმა ოთარ გუმბერიძემ თავისი წერილი მოგვიტანა. რედკოლეგიამ გადაწყვიტა სწორედ გულშემატკივრის წერილი დაგვებეჭდა, რადგან მკითხველს, ვფიქრობთ, უფრო დაინტერესებს, რას ფიქრობს რიგითი გულშემატკივარი და არა პროფესიონალი ჟურნალისტი, თუნდაც რედაქცია.

დღესვე ვთავაზობთ ფეხბურთის კიდევ ერთი გულშემატკივრის, თბილისელი ინჟინრის ბორის მენაბდის წერილს, რომელიც ავტორმა ასევე თავად მოგვიტანა რედაქციაში.

### რა გვინდოდა?

### გულშემატკივრის მოსაზრებები

ზედმეტია ლაპარაკი, რომ ნახევარფინალურ მატჩზე „დინამოსა“ და „დნეპრს“ შორის ქართველი გულშემატკივარი დიდ იმედს ამყარებდა. ამის საფუძველი ერევნის „არარატთან“ და მოსკოვის „სპარტაკთან“ საუცხოოდ ჩატარებული შეხვედრები იყო.

იმედის ის ნაპერწკალი, წინა მატჩებში რომ წარმოიშვა, კარგი სტიმული გახდა სტადიონზე გულშემატკივართა მოზიდვისა. მართალია ტრიბუნები მთლიანად არ შევსებულა, მაგრამ ამდენი მაყურებელი, 21 მაისს რომ ჰყავდა ქართველ ფეხბურთელებს, კარგა ხანია არ გვინახავს ჩვენს სტადიონზე.

გაამართლეს კი დინამოელებმა მაყურებელთა იმედი?

შეეძლოთ უკეთესად ეთამაშათ?

მატჩი წავაგეთ, მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც. მე რომ მკითხოთ, ეს შეხვედრა მაშინ წავაგეთ, როცა წინა თამაშში გელა კეტაშვილმა რიგით მეორე გაფრთხილება მიიღო. მისი სიფიცხე ( სულ ერთია გამოპასუხებაა ეს თუ არა) გუნდს ძვირად დაუჯდა. მომეჩვენა, რომ დასაწყისიდანვე დინამოელები შიშმა შეიპყრო, პრესინგს რომ წააწყდნენ, მთლად დაიბნენ, თითქოს გაუკვირდათო წინააღმდეგობას რომ უწევდნენ დნეპროპეტროვსკელები. „დნეპრი“ დღეს ის გუნდია, რომელიც „დინამოზე“ კლასით მაღლა დგას, ტექნიკით და ტაქტიკითაც უკეთ მომზადებულად გამოიყურება.

რა დაუპირისპირეს თბილისელებმა დნეპროპეტროვსკელებთან თამაშს? მხოლოდ და მხოლოდ უხეშობა, წამდაუწუმ კინკლაობა.

მე ის გულშემატკივარი არ ვარ, რომ მოვუწოდო ჩვენს ფეხბურთელებს - თუ მარჯვენა ლოყაზე გაგარტყეს, მარცხენა მიუშვირეო, მაგრამ კეტეგორიული წინააღმდეგი ვარ ყოველ დარტყმაზე დარტყმით ვუპასუხოთ, გინებაზე გინებით. მოედანზე არის ადამიანი, რომელიც სიტუაციას განსჯის, მტყუანსა და მართალს გაარჩევს.

იყო თუ არა მსაჯი ამ მატჩში დინამოელთ დამარცხების მიზეზი?

არა და არა!

მან კარგად, წესიერად იმსაჯა და ერთადერთი პრეტენზია, რომელიც შეგვიძლია არბიტრს წავუყენოთ, ეს ისაა, რომ მოედნიდან არ გააძევა ჭედია, თბილისელთა გუნდის ყველაზე ყოყლოჩინა მოთამაშე და ჩხუბისთავი. ჭედიას წვლილი ამ დამარცხებაში ყველაზე მეტია. ქართველ ფეხბურთელთა თავაშვებული საქციელი კინაღამ ტრაგედიით დამთავრდა.

ამ საგანგაშო ფაქტებიდან  დროული დასკვნა თუ არ გამოვიტანეთ, მართალი არ ვიქნებით საკუთარ თავთან. პირველ რიგში მე  იმ დღეს მაყურებელთა დანაშაული კი არ დავინახე, არამედ თბილისის „დინამოს“ მოთამაშეთა პროვოკაცია (მაპატიეთ, სხვა სიტყვა ვერ მომიძებნია), არადა, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ნერვები ყველას ისედაც დაძაბული გვაქვს ასეთ პირობებში მაყურებლის თვალში მსაჯის ყოველი გადაწყვეტილების გაპროტესტება მართლაც რომ პროვოკაციად შეიძლება მოინათლოს.

მე არ ვიცი, როგორ შეფასდება ჭედიასა და „ძმათა მისთა“ პროვოკაცია. როგორც იქნა იმ დღეს თავიდან ავიცილეთ სიტუაციის გართულება. ხვალ? არის კი ხვალ გარანტია იმისა, რომ იგი არ განმეორდება?

ფეხბურთი მარტო წაგება-მოგება როდია, თუმცა თბილისელ მაყურებელს წაგებული მატჩის შემდეგაც ბევრჯერ ტაშით გაუცილებია „დინამო“ მატჩში თავდადება თუ შეუნიშნავს. კვირას კი თბილისის დინამოელებმა, ვფიქრობ, ორმაგი მარცხი განიცადეს და ტრიბუნებმა გუნდი სტვენით გააცილა გასახდელში. მრცხვენია, როცა ვიხსენებ, რა შთაბეჭდილება დარჩებოდა ამ მატჩის გამო ინგლისელ მსახიობ ქალს და დასავლეთგერმანელ სტუმარს, რომლებმაც ტაიმებს შორის შესვენებისთვის ჩვენი საერთო მხარდამჭერი ბევრი თბილი სიტყვა გვითხრეს.

ჩვენმა მაყურებელმა ღირსეული მასპინძლობა არ იცისო, ვერავინ დაგვწამებს. აი ზოგიერთმა კი...

იმ ღამეს დიდხანს არ დამეძინა. ათასი აზრი  მიტრიალებდა თავში. არა, ნამდვილად უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოს ღირსებას, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს...

**ოთარ გუმბერიძე**
**პენსიონერი**
**თბილისი**
**23.05.1989**

**რედაქციის კომენტარი**

რასაკვირველია, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ დინამოელებმა „სპარტაკთან“ მატჩის შემდეგ, ვერ შეძლეს ძალების მთლიანად აღდგენა. იმ „სუპერთამაშის“ შემდეგ, რაც თბილისის „დინამომ“ 17 მაისს აჩვენა ძალებს ასე იოლად ვერ აღიდგენ. ეს გარემოება ყველამ უნდა ცხადად გავითვალისწინოთ, მაგრამ არსებობს სხვა სარეზერვო რესურსები, რომლებსაც ასეთ დროს იყენებენ ფეხბურთელები. ასეთი შემთხვევისთვის ყოველ გუნდს მარაგში შემონახული უნდა ჰქონდეს ტაქტიკური ვარიანტები, მოულოდნელობანი, ანაზდეული გეგმები, რომელთა მეშვეობითაც იგი წარმატებას მიაღწევს. თბილისელმა ფეხბურთელებმა ამ მეტად მნიშვნელოვან ნახევარფინალურ მატჩში, რატომღაც პირველ პლანზე წამოსწიეს ძალისმიერი თამაში, თავისებური ხელჩართული ბრძოლის საშუალებანი, ამან კი სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელები თვითონ არიან ხელჩართული ბრძოლის პირველხარისხოვანი ოსტატები. მარტოოდენ ენერგიითა და ძალ-ღონის თავდაუზოგავი გამოყენებით მათ ვერ შეაშინებ.

იმის თქმა, რომ თბილისის „დინამომ“ ურიგოდ ითამაშა „დნეპრთან“, სწორი არ იქნებოდა. გუნდმა ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო და იმ დღეს ცოტაოდენი სპორტული იღბალი რომ ჰქონოდა, აუცილებლად გოლით დამთავრდებოდა მეკარე კრაკოვსკისთან პირისპირ გასული კაჭარავას რეიდები.  შემდეგ „დნეპრის“ მცველმაც დაუცველი კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. იყო გოლის გატანის სხვა შესაძლებლობანი... მსაჯთან და მეტოქეებთან გაუთავებელი კინკლაობით ზოგიერთმა დინამოელმა მაყურებელთ ერთი ნაწილი აიყოლია და საქმე იქამდე მივიდა, რომ თბილისის „დინამოს“

სტადიონზე, რომელსაც მრავალზე უმრავლესი უმძაფრესი, საფეხბურთო ბრძოლა უნახავს, მაყურებლები მინდორზე გადმოცვივდნენ, მიეჭრნენ მსაჯს და მათი დაშოშმინება ისევ ჩვენივე ფეხბურთელებს და მილიციის რაზმებს მოუხდათ. მსაჯები იძულებულნი გახდნენ სასწრაფოდ დაეტოვებინათ მინდორი და გასახდელისთვის შეეფარებინათ თავი.

თამაში კი დაახლოებით 20-25 წუთით შეწყდა.

საკითხავია: განა სტადიონის საფეხბურთო მინდორი ის ადგილია, რომელიც გულშემატკივართა რევანშის სარბიელად უნდა იქცეს?! ფეხბურთელთა და მაყურებელთა ამგვარ აქციებს, როგორც წესი, სტადიონის დისკვალიფიკაცია მოსდევს. ეს კი კიდევ უფრო დიდი უსიამოვნებაა. ანდა: საკითხავია, რა სარგებლობას მოუტანს თბილისის „დინამოს“ მის წამყვან მოთამაშეთა მიერ მიღებული ყოვლად გაუმართლებელი, უსაფუძვლო გაფრთხილებანი? ხომ დაგვაკლდა ამ უმნიშვნელოვანეს მატჩში ძირითადი ფეხბურთელი გ. კეტაშვილი, რამაც გარკვეული დაღი დაამჩნია გუნდის თამაშს? თითოეული გაფრთხილება, რომელსაც ჩვენი ფეხბურთელი ღებულობს, შავი ასოებით იწერება გუნდის მატიანეში. დღეს კეტაშვილი დაგვაკლდება, ხვალ მისი ტოლი სხვა მოთამაშე და სწორედ ეს უნდათ თბილისის „დინამოს“ მტრებსაც. წამიერი „გულის მოფხანვა“ არა თუ არ რგებს ფრიადაც ვნებს საქმეს. ეტყობა, კოლექტივი ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს მინდორზე თავის საქციელს.

გუშინ რედაქციაში ბევრმა ტელემაყურებელმა დარეკა - გვთხოვეს, მადლობა გადავცეთ საქართველოს ტელევიზიის მუშაკებს, რომლებმაც გუშინწინდელი მატჩის დროს შექმნილი სიტუაციის მიმდინარეობა აჩვენეს ტელემაყურებლებს, რითაც ფეხბურთის გულშემატკივრებს და არა მარტო მათ, შესაძლებლობა მისცეს, საღად შეაფასონ  მომხდარი ამბები.

**გამომეხმაურეთ!**

დაახლოებით 1400 წამი გრძელდებოდა კონფლიქტით გამოწვეული პაუზა მინდორზე და ტელეეკრანებზე „დნეპრთან“ თამაშის დროს.

ცხადია, რაც  მოხდა, რამდენიმე გულშემატკივრის ემოციების შედეგი იყო და არა სტადიონზე მოსული მაყურებლის საერთო განწყობილებისა. მე სხვა რამეზე მინდა შევაჩერო ყურადღება. ხომ იცით, რა უხერხულ მდგომარეობაში გვყავს ჩაყენებული დღეს ჩვენი მილიცია, ვინ იყვნენ ისინი, ვინც მაყურებლებიდან წესრიგი დაარღვიეს, რა სურდათ?

ვფიქრობ, წესრიგის დამრღვევები ყველას უნდა გავაცნოთ, როგორც სასჯელის მინიმუმი. მათი გვარები (ჩვენება თუ არ მოხერხდება) ტელევიზიით მაინც ვაუწყოთ საზოგადოებრიობას.

„ლელოს“ მკითხველებო, თუ მხარს მიჭერთ, გამომეხმაურეთ!

**ბორის მენაბდე**
**ინჟინერი**
**თბილისი**

**ლელო 23.05.89**